№ 45 თებერვლის 28, ხუთშაბათი. 1866—1885 თებერვლის 28, ხუთშაბათი. № 45.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშიგე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე ხაზიანზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 შაბ. რიცხვი სტროფონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს აგვლორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

„დროების“ ფასი მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი, სოფლის მასწავლებლთათვის 6 მანათი.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

ბიბლიოთეკა

სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობის კრება

სოფ. ბაკურციხეში

თებერვლის 10-ს.

წერილი სიღნაღიდამ.

ბევრი ლოდინისა და ლაპარაკის შემდეგ, ბეჭდვით თუ სიტყვით, ძლივს მოაგონდა ჩვენს თავად-აზნაურობას თავისი შვილებისადმი მოვალეობის აღსრულება. ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ ქახეთის თავად-აზნაურობის სიჩუმით, ბევრს მიზეზებს ეძებდენ, მაგრამ ვერაფრით აეხსნათ დღემდის მათი სიჩუმე. დღეს, მკითხველი, დარწმუნებულნი ვართ, შეიტყობს ნამდვილ მიზეზს არა-დასაგვიანებელ საქმის დაგვანებისას ქახეთის თავად-აზნაურობისაგან.

თებერვლის 20-ს იყო დანიშნული კრება სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობისა, წინამძღოლის სადგურში სოფ. ბაკურციხეს. დილითვე თავად-აზნაურობამ იწყო შეგროვება დანიშნულ ადგილს. მერიდეტ საათამდის საკმაოდ მოგროვდა. კრება გაიხსნა 12-ს საათზე ბ-ნი წინამძღოლის სიტყვით, რომელიც დაახლოვებით მოგვყავს:

„ძმაწვილებო! მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა თქვენგანმა კარგად იცის დღევანდელი კრების საკანონმდებლო. ბატონებო, რასაკვირველია, ჩვენ უარის თქმა არ შეგვიძლიან ბ-ნი წინამძღოლის წინადადებაზე, მხოლოდ მე მსურს მივაქციო ერთ გარემოებას ყურადღება.

„თუ ჩვენ გვსურს, რომ ისეთივე უსარგებლო არ გამოდგეს ეს ფონდი, როგორც უსარგებლოდ მიდის ჩვენთვის ბანკის მოგება—ამიტომ ვსთხოვოთ გუბერნიის კრებას, რომ მან გარდასწყვიტოს, თუ რამდენი მოწაფე იქნება ყოველ წლივ თვითეულ მაზრიდამ, ფულის და გვარად, რასაკვირველია, მიღებული სათავად-აზნაურო სკოლაში. რაკი ეს გარდასწყდება, ჩვენ სამდურავი აღარ შეგვეძლება“. თუმცა ეს წინადადება განაჩენში (პროტოკოლში) არ იქმნა შეტანილი, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ მომავალი საგუბერნიო კრება ამ საგანს გარდასწყვეტს და მით ააცილებს სათავად-აზნაურო სკოლასაც და ბანკსაც ყოველ საყვედურს.

თ. ი. ვ—ძის შემდეგ დიდხანს ილაპარაკა თ. ზ. ა—შვილმა. მის სიტყვაში ის აზრი იყო გაყვანილი, რომ კრებამ გამოძებნოს ის წყარო, რომ კრებამ ფულს ან საზოგადო მამულების შემოსავლიდამ, ან „ნადელების“ ფულიდან და ან სხვა რაიმე წყაროდამ. თ. ზ. ა—შვილის ხანგრძლივმა ლაპარაკმა ხალხს მოთმინება გამოელია და იქამდის მიიყვანა, რომ საზოგადოებამ ერთ-ხმად დაიძახა, გვეყოფა ლაპარაკი, შეადგინეთ განაჩენი. ძიდევ შიგა და შიგ ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ საგულისხმო არა ითქვა-რა, რომ მათზე შევჩერდეთ; მხოლოდ ერთმა, რომელსაც სხვა-და-სხვა გარემოების გამო(?) სამშობლო ენა დაჰვიწყებოდა, ვერ მოითმინა და თავისი აზრი წარმოსთქვა!

„ძარგი ვიკისროთ და შევაგროვოთ ფული, მერე რა სარგებლობა მოაქვს სათავად-აზნაურო სკოლას? (ეტყობა ეს ბატონი ახლა მოსულა საქართველოში, მაგრამ არც გასამტყუნია სამშობლო ენა ხომ არ ესმის და, აბა, ჩვენს ახალ-თაობას სწავლა-განათლების გზა. იმედიც მაქვს, ყმაწვილებო, რომ თქვენში არაევინ გამოვა ისეთი პირი, რომელიც არა გრძნობდეს ახალთაობის აღზრდის საჭიროებას და არა ხადიდეს მას ერთად ერთ საშუალებად, რომელსაც შეუძლიან მხოლოდ ჩვენის არა სანატრელი მდგომარეობის გაუმჯობესობა. მართალია, ჩვენში უმრავლესობა ისეთს ყოფაშია, რომ მისგან ფულის გამოღება დიდად საძნელოა, მაგრამ დღეს ყველა ვიკისროთ, ყველა გაჭირვება ავიტანოთ, ყველა მოვითმინოთ და მით ჩვენს შვილებს მაინც არის ავაცდინოთ ჩვენზედ უარესი მდგომარეობა მომავალში. დამერწმუნეთ, რომ თუ ჩვენს შვილებს არ მივეცით სწავლა-განათლება, არ შევმოსეთ მეცნიერების იარაღით და მივანებეთ თავი, სასიხარულო ბედი არ მოელის მათ. ბ-ნ ლოს გთხოვთ, ამოირჩიოთ რამდენიმე პირნი, რომ შეძლებისა დაგვარად, გააწერონ ფული, რაც შეიძლება მალე, და მომავალ საგუბერნიო კრებაში ჩვენს თანამოძმეებთან გულ-ხალვათად წარეს დგეთ».—ბ-ნი წინამძღოლის სიტყვამ ჯეროვანი გავლენა იქონია ხალხზე. ხალხში შეიქნა მოძრაობა და ლაპარაკი. ზარის ხმამ ჩამოაგდო სიჩუმე.

თ. ი. ბ-ძე ვ—ძე წამოდგა ფეხზე და ბ-ნი წინამძღოლის სიტყვას დაუმატა: „ბატონებო, რასაკვირველია, ჩვენ უარის თქმა არ შეგვიძლიან ბ-ნი წინამძღოლის წინადადებაზე, მხოლოდ მე მსურს მივაქციო ერთ გარემოებას ყურადღება.

„თუ ჩვენ გვსურს, რომ ისეთივე უსარგებლო არ გამოდგეს ეს ფონდი, როგორც უსარგებლოდ მიდის ჩვენთვის ბანკის მოგება—ამიტომ ვსთხოვოთ გუბერნიის კრებას, რომ მან გარდასწყვიტოს, თუ რამდენი მოწაფე იქნება ყოველ წლივ თვითეულ მაზრიდამ, ფულის და გვარად, რასაკვირველია, მიღებული სათავად-აზნაურო სკოლაში. რაკი ეს გარდასწყდება, ჩვენ სამდურავი აღარ შეგვეძლება“. თუმცა ეს წინადადება განაჩენში (პროტოკოლში) არ იქმნა შეტანილი, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ მომავალი საგუბერნიო კრება ამ საგანს გარდასწყვეტს და მით ააცილებს სათავად-აზნაურო სკოლასაც და ბანკსაც ყოველ საყვედურს.

თ. ი. ვ—ძის შემდეგ დიდხანს ილაპარაკა თ. ზ. ა—შვილმა. მის სიტყვაში ის აზრი იყო გაყვანილი, რომ კრებამ გამოძებნოს ის წყარო, რომ კრებამ ფულს ან საზოგადო მამულების შემოსავლიდამ, ან „ნადელების“ ფულიდან და ან სხვა რაიმე წყაროდამ. თ. ზ. ა—შვილის ხანგრძლივმა ლაპარაკმა ხალხს მოთმინება გამოელია და იქამდის მიიყვანა, რომ საზოგადოებამ ერთ-ხმად დაიძახა, გვეყოფა ლაპარაკი, შეადგინეთ განაჩენი. ძიდევ შიგა და შიგ ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ საგულისხმო არა ითქვა-რა, რომ მათზე შევჩერდეთ; მხოლოდ ერთმა, რომელსაც სხვა-და-სხვა გარემოების გამო(?) სამშობლო ენა დაჰვიწყებოდა, ვერ მოითმინა და თავისი აზრი წარმოსთქვა!

„ძარგი ვიკისროთ და შევაგროვოთ ფული, მერე რა სარგებლობა მოაქვს სათავად-აზნაურო სკოლას? (ეტყობა ეს ბატონი ახლა მოსულა საქართველოში, მაგრამ არც გასამტყუნია სამშობლო ენა ხომ არ ესმის და, აბა,

---

«დროების» ტელეგრამა, ოებრ. 28-ს

საზარელი სამკვიდრო

ფილოსოფიური მოთხრობა

ბ. შალფრუასი

ფრანცუზულიდამ*

ბავიდა თუ არა ზაფხული, ძაკი დაბრუნდა ისევ პარიჟში და მხურვალედ შეუდგა თავის საქმეს; თითქმის თავი შეიმაგრა, მხოლოდ აღრინდელზედ მეტად თვალ-ყურს ადევნებდა თავის თაეს, რადგან იცოდა, რომ აგებულებაში მანკი აქვს და იმაზედ სრული გამარჯვება ეჭირვება. რომ პსიხოლოგიური მანკი ამას არ შეეხებოდა, ნამდვილად დარწმუნებული იყო; მაგრამ სხვა ნაღველი აწუხებდა, რომელსაც აგრე ადვილად ვერ აიშორებდა თავიდამ. წარსულ ცხოვრების დრამაში ბევრი ბნელი ადგილები გამოსჩანდა და ბევრი საიდუმლო საგნების ახსნა ვერ შეეძლო; მხოლოდ მოულოდნელი შემთხვევა თუ გაუმართავდა ამაში ხელს.

ერთ ღამეს, როდესაც ძაკი მარტოდ-მარტო იჯდა თავის კაბინეთში, ექიმმა ვარენმა შეაღო კარი.

უცნაური ჭკუის პატრონი იყო ექიმი ვარენი. იგი იყო თავისებური მეცნიერი, ან უკედ ვსთქვათ, ნასწავლი და უყურადღებოდ არა სტოვებდა, რაც კი ან თქმულა, ან დაწერილა წამლობაზედ ძველ დროიდამ დღემდის. იგი იმ აზრს ადგა, რომ ჰიპოკრატის შემდეგ მკურნალობამ ერთი ნაბიჯიც არ წასდგა წინ. და როდესაც პასუხად მოაგონებდენ იმ დიდ გამოგონებათ, რომლითაც ისახელა უკანასკნელი საუკუნე, როგორც მაგ. სისხლის ტრიალის ახსნას, ან ყვავილის აცრას, იგი უარ-ყოფდა მათს პრაქტიკულს სარგებლობას და ამბობდა, რომ წამლობის ხელოვნებას (ამ სიტყვას ხშირად ხმარობდა) მაგითი არა მომატებია-რაო. როგორც გამოცდილებით დახელოვნებული, იგი ყოველივეს გამოცდილებაზე ამყარებდა, და თეორიას თამამად უარ ჰყოფდა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დაუსრულებელი ბაასი ასტყდებოდა ამ მეტოქეთა შორის, მეტადრე იმიტომ, რომ მოხუცი ექიმი მოურიდებლად, პირ-და-პირ შეებრძოდა ხოლმე მის მეგობრისაგან ძვირფასად აღვიარებულს თეორიას. ამ საღამოს ელაეინდელზედ კიდევ უფრო დიდი სიფიცხით შეება ძაკს ლაპარაკში.

— თქვენ, თეორიის მიმყოლნი, ჩვენ თვალებს გვიხვევთ,—სთქვა იმან—თქვენ წარმოდგენილი გაქვთ, რომ ყოველ ორს ფაქტს შორის სუფევს რაღაც ძნელად გამოსაჩხრეკი დამოკიდებულება და მედიდურად გვეუბნებით: აი, მიზეზი და აი, შედეგიო.

— იქნება ვცდებით კიდეც,—უპასუხა ძაკმა,—მაგრამ ჩვენი მოვალეობაა გამოვიკვლიოთ, როდესაც ჩვენს თვალ-წინ ეხედავთ შედეგს და განვსაზღვროთ მისი მიზეზი, რადგან უმიზეზოდ შედეგი არ იქნება.

— აი, კიდევ რაღაც შედეგ-მიზეზები, რომელნიც მე თავში ამივარდებიან ხოლმე. მე ყველგან შედეგსა ვხედავ და მიზეზს კი არსად; თუნდ იყოს ეს უკანასკნელი, მაინც ჩვენ არ შეგვეხება და არც უნდა ვეცადოთ მისს გამოძებნას; საუბედუროდ, ხშირად გვგონია, რომ ვიპოვეთ მიზეზი რაიმე მოვლენისა და მაშინვე ვადგენთ მთელ სისტემას, თეორიას და რადგან ასში ოთხმოც-და ცხრამეტჯერ ის დამოკიდებულება, რომელიც ჩვენ დავადგინეთ მოვლენათა და მიზეზთა შორის, სრულიად ცრუ გამოდგება

---

*) იხილე „დროება“ № 44.

რა სარგებლობას დაინახავს სათავადაზნაურო სკოლიდამ) ჩემი ძმა მყავდა იქ ოთხი წელიწადი და ოთხმოცი თუმანი გამომართვეს, ფულს რაღად გვართმევენ, თუ კი კერძოდაც აიღებენ ფულებს! (საზოგადოებაში სიცილი) მაგრამ რაკი პრინციპიალურად გადაწყვეტილი არის ფონდის შედგენა, ჩვენც ამოვირჩიოთ კომისია“.

საზოგადოებამ ამოარჩია ხუთი პირი და შეადგინეს განაჩენი: მთელი საზოგადოება გაჰყვეს ხუთ კატეგორიად: პირველმა კატეგორიამ უნდა გაიღოს 200 მან. 400 მან. მაგიერ, რომელიც სხვა მაზრებშია გარდაწყვეტილი; უკანასკნელმა კი 25 მან. 50 მან. მაგიერ. ეს ფული ხუთი წლის განმავლობაში უნდა გადაიხადონ. ბოლოს, ბ. წინამძღოლმა სთხოვა კომისიის წევრებად ამორჩეულთ, რომ, რაც შეიძლება, დაეწურნენ და მალე მოიყვანონ აღსრულებაში მათდამი მინდობილი საქმე. ამით გათავდა კრება და ხალხიც დაიშალა.

ი. კ ხ ლ ი.

შინაური ქრონიკა

= თებერვლის ოც და-ხუთს ქალაქის რჩევამ თავის მორიგს სხდომაზე სხვათა შორის განიხილა რამდენიმე საინტერესო საგანი. მათ შორის უფრო ყურადღების ღირსია, მეტადრე ადგილობრივი ლიტერატურის მოყვარეთათვის, ქალაქის გამგეობაზე საჩივარი, რომელიც მიართვა რჩევას ბ. პ. ბელოიმ.

თითქმის 150,000 მცხოვრებლებით დასახლებულს ჩვენს ქალაქში, რომელიც მეოთხე ქალაქად ითვლება მთელს იმპერიაში დროგამოშვებით გამოცემათა სიმრავლით *), არსებობს მხოლოდ ერთი საჟურნალ-გაზეთო პავილიონი ბ. შავერდოვისა. რაც უნდა სინიდისიერად ეპყრობოდეს ეს უკანასკნელი მასთან საქმის მქონე საზოგადოების ინტერესებს, ცხადია, რომ მაინც აუცილებლად საჭიროა ჰყვანდეს მეტოქე. ყველგან და ყოველს საქმეში, მეტადრე ვაჭრობაში, მეტოქეობა საუკეთესო გარანტიად ითვლება საზოგადოების ინტერესთა დაცვისათვის. მოსალოდნელი იყო, რომ თუ კი ვინმე გამოჩნდებოდა მსურველი მეორე პავილიონის გახსნისა—და რომ გამოჩნდებოდა ამაზედ ეჭვი არა გვქონდა,—ქალაქის გამგეობა ხელს გაუმართავდა მას რჩევის წინაშე დახმარებით ნება-რთვის აღებისათვის. მაგრამ ქალაქის გამგეობა ასე არ მოიქცა, როდესაც მას სთხოვა ბ. პ. ბელოიმ, რომ ნება აღოდ მისთვის რჩევისაგან მეორე პავილიონის დაარსებისათვის როზენის ქუჩისა და კლასიკურ გიმნაზიის გალავნის კუთხეში. გამგეობამ გადაჭრილი უარი უთხრა მას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ „ქუჩა დაუშნოვდება“ პავილიონების გაბშირებითაო (!) და თუ თქვენ მოგეცათ ნება, მაშინ სხვასაც (!) უნდა მიეცესო!—ამისთანა პასუხის გამო იყო რჩევაში შეტანილი ზემოდ მოხსენებული საჩივარი, რომელმაც ცხარე და ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია ხმოსანთა და გამგეობის შორის. გამგეობა მტკიცედ და ერთხმად ეწინააღმდეგებოდა პ. ბელოიის წადილს და მაუფერებელი ხმოსნები კი ექომაგებოდენ მას. ბოლოს საქმე კენჭზე მივარდა, თუმცა კენჭის ყრა აღარ მოხდა, რადგანაც ამ საგნის განხილვის დროს სხდომაზე აღარ ამოჩნდა საჭირო რიცხვი ხმოსანთა...

ხიდებზე დატვირთულ ურმების, ფურგონების და სხვათა შესახებ რჩევამ გადასწყვიტა, რომ მოხსენებულ დატვირთული ურმეულობას უნდა ატარებდენ ვერის ხიდით და პირუტყვთა ფარას კი მნაცაკანის ხიდით.

საბირჟე ტრაქტირების პატრონთ ეთხოვნათ, რომ ქალაქის თვითმმართველობამ განგვთავისუფლოს ფაეტონთ სადგომ ეზოების ასფალტით მოფენისაგან, რადგანაც ჩვენს ეზოებს 100-150-ოდე ოთხ-კუთხი საქ სიერცე აქვს და ამოდენა ადგილზე ასფალტის მოფენა ჩვენგან აუტანელ ხარჯს გამოიწვევსო; თუ შეიძლება, ასფალტის მაგივრად რიყის ქვას დავაგებთო. რჩევამ გადასწყვიტა, რომ მიენდოს გამგეობას ტრაქტირის პატრონების სიმართლის გამოკვლევა.

= თებერვლის 25-ს, სალამოს, ქუჩაში მოხდა ერთი ფრიად სამწუხარო შემთხვევა: ქერიეს დედა-კაცს, გვარად ივანოვისას, ჰყავდა ერთი ობლობაში გამოზდილი ვაჟი-შვილი, რომელსაც ამ ცოტა ხანში რეალურ სასწავლებელში კურსი უნდა გეთავებინა. დედას იმედი ჰქონდა თურმე, ჩემი შვილი სწავლას გაათავებს და შემწედ მეყოლება როგორც მე, ისე თავის პატარა დებსა და ძმებსაო. მაგრამ უბედურის შემთხვევის გამო, საცოდავ დედას იმედმა ფუჭად ჩაუარა... ხსენებულ დღეს, სალამოზედ ყმაწვილ ივანოვთან შეყრილიყენენ მისი ამხანაგები და ლაპარაკის დროს დაეწყოთ რევოლვერის სინჯვა; ერთერთს ივანოვის ამხანაგს ამ სინჯვის დროს გავარდნოდა იგი და ივანოვს ტყვია შიგ გულში მოჰხვედროდა: საბრალო ყმაწვილს 5 თუ 10 წამის მეტი აღარ უცოცხლია.

= ს. ქასპიდგან გვატყობინებენ: ამას წინედ მორის მაზრის «პოსრედნიკმა» თ. ი. ერ—სთავმა, ოფიციალური მოწერილობით, დაიბარა სოფ. ქასპი-ათი სხვა-და-სხვა სოფლის გლეხ-კაცობა რაღაც საჭირო საქმის გამოსაცხადებლად. გლეხები შეიკრიბნენ, «პოსრედნიკი» კი არსად სჩანდა. უცადეს მთელი დღე მ მიერ-მწყურვალებმა, «პოსრედნიკი» მაინც არ მოვიდა; დარჩნენ იმ ღამესაც ამ სიცივეებში გარედ ულუკმა-პურად. მისაც ნათესაობა ეგულებოდა სოფელში, იმას არა დაუშავდებოდა რა, მაგრამ უმეტესი ნაწილი კი გარედ დარჩა. უცადეს იმ დღესაც, კიდევ არ მოვიდა თვითონ და თავის მაგივრად თავისი საქმის მწარმოებელი გამოეგზავნა. თვით ბატონი «პოსრედნიკი» მეოთხე დღეს მოშანდა, როდესაც ხალხის ჭაჭანება აღარ ყოფილა. არ ვიცით, რისთვის აცდენდა თ. ერ—სთავი ამოდენა ხალხს, როდესაც ასეთი გაცხარებული მუშაობაა.

= «დროების» მე-30 №-ში იყო პატარა შენიშნვა იმაზედ, რომ ყვავილი გახშირდაო ოზურგეთის მაზრაში, სოფელს ასკანაში და არაეითარი ღონის-ძიება მის წინააღმდეგ არ არის ხმარებულიო. ეხლა გვატყობინებენ, რომ შემდეგ ამ შენიშვნისა, ასკანის მამასახლისს თაოსნობით ამ სოფელში დაიარებიან, როგოც ფელდშერები, ისე ამცრელები, რომელნიც ერთგულად უცრიან თურმე ყვავილს დიდსაცა და პატარასაც.

= ჩვენ შემოგვჩივლეს, რომ თუმცა რკინის გზის საზოგადოება ვალდებულია მარტის დამლევამდის ათბობდეს ვაგონებსა, მაგრამ ეხლაც კი გაუთბობელი ვაგონებით ატარებს მოგზაურთ, რომელნიც თითქმის ყინდებიან ამ ქარიანს ტაროსებში, მეტადრე სურამის ქედზეო.

= გუშინ-წინ სალამოთი სასტუმრო იმპერიაში თავი მოიკლა რუსეთიდან ახლად ჩამოსულმა ერთმა აფიცერმა. თავის მკვლელობის მიზეზად რომანიულს სიყვარულს ასახელებენ.

„დროების“ კორესპონდენცია

პარიჟი, თებერვლის 26-ს. ტონკინის გამო ჩინეთთან ატეხილს ომს ჯერ ვერ ათავებს საფრანგეთი და რაც უფრო ხანი გადის, იმდენი უფრო რწმუნდება იგი, რომ ომის დასრულება საშემოდგომოდ გადაიდება. ზაფხულში ფრანცუზებისთვის შეუძლებელია იქ ბრძოლა. საფრანგეთის მთავრობას რომ ჰკითხოთ, მათ ომი არა აქვთ ჩინეთთან, რადგან ფორმალურად იგი არ გამოუცხადებიათ. ამ ომს ისინი represaille-ს უძახიან.

იმათ რაც უნდათ დაუძახონ და ეს კი ნამდვილია, რომ სისხლი ბლო-

---

*) პირველი სამნი არიან: პეტერბურგი, მოსკოვი და ვარშავა. რედ.

ხოლმე, ამიტომაც თვით სისტემაც, თეორიაც ცრუ საფუძველზეა აგებული. მაინც იგი ცხოვრებაში გზას გაიკელეს ხოლმე და ერთი შემცდარი აზრი სხვა ამისთანებს ემატება.

— ასში ერთხელ მერე?.. სთქვა ღიმილით პორტეილმა.

— ასში ერთხელ, როდესაც მისი გამომგონებელი სხვებზედ უფრო ნიჭიერია, თეორია უფრო მართალი და ან ისეთი თვისებ საა, რომ ძლიერად მოქმედობს კაცის გონებაზედ. ასში ერთხელ გამოდის დეკარტი, რომელიც ვარსკვლავთ-მრიცხველობს; პასკალი, რომელმაც დაგვიმტკიცა ღვთის არსებობა; მესმერი, რომელმაც გვიჩვენა ანდამატის ძალა, ან პორტეილი, რომელმაც აგვიხსნა ძალა მემკვიდრეობისა: დანარჩენი ოთხმოცდა ცხრამეტი თეორია მსწრაფლად ჰქრება; მეასე რამდენსამე ხანს ებრძვის გარემოებას და ენების მეტი არა მოაქვს-რა. ძიდევ კარგი, როდესაც თითონ მის მომგონს არა ჰკლავს იგი.

შაკ პორტეილს ტანში ჭრუანტელმა გაურბინა. რასაკვირველია, საკუთრივ ამას არ შეეხებოდა მოხუცი ექიმისაგან გაკვრით ნათქვამი სიტყვები; მაგრამ ისე შეპყრობილი იყო შაკი ფიქრებით, რომელნიც თავიდამ ვერა გზით ვერ მოეშორებინა, რომ მაშინვე თვალ-წინ წარმოუდგა თავის ოჯახის ტრაგედია და მწარე მწუხარებამ უნებლივ გაიტაცა; გულიც თითქოს რაღასაც ეუბნებოდა.

შაკს უნდოდა დაეცვა თავის სისტემა, რომელიც თითქო მას აქვთ უფრო შეუყვარდა, რაც იგი დამოკლის ხმალსავით ბედითად თავს დასცქეროდა.

— რაც შეეხება შთამომავლობითს მემკვიდრეობას,—სთქვა შაკმა, — ეგ საკმაოდ არის დამტკიცებული...

— შთამომავლობით მემკვიდრეობა! დაცინვით წამოიძახა ვარენმა.— ის ემჯობინებოდა თავი დამენებებინა შენთვისაც და შენი ოცნებებისთვისაც, მაგრამ შენ როგორღაც წინ მიდხარ და ბევრი მიმოლი და მიმბაძავიც იშოვე; შენ საშიში კაცი შეიქენი. დამიგდე ყური, შენ თითონვე იძულებული შეიქნები, გამოტყდე, რომ ეგ ყველა მხოლოდ ოცნება იყო. საკმაოდ არის დამტკიცებული, ამბობ შენ? ხომ გახსოვს მამა — შენი?

— მამა ჩემი? ჰკითხა შაკმა კანკალით; რასაკვირველია, მახსოვს: მერე რა გინდა სთქვა?..

— მამა შენი, ის ყველა ჭკვიანზედ უჭკვიანესი, მშვიდი და პირში სწორე-მთქმელი ქმნილება, თვით ჭეშმარიტება, შეურყეველი აზრის პატრონი; ის კაცი, რომელიც სამაგალითო იყო თავისი ჭკუა-გონებით ყველასთვის, ვინც კი იცნობდა...

— მე მახსოვს იგი, სთქვა შაკმა და შუბლი შეიკმუხნა.

— მაშ კარგი! შენი სისტემა რომ მართალი იყოს, მამა შენი გიჟი უნდა ყოფილიყო; გაიგე კარგად, სრულიად გიჟი უნდა ყოფილიყო.

— თქვენ ამბობთ მაგას?

— ოჰ! მე სიკვდილის შემდეგ იგი არ გამიჭრია,— თუმცა ჩემის მხრივ დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილად სრული ჭკუის პატრონი იყო? მაგრამ მე ეხლა მინდა შენის თვალით შევხედო საქმეს და, აი, რა გითხრა: შენ რომ მართალს ამბობდე, ის ჭკვიანი კაცი სრულიად გიჟი იქნებოდა. დამიგდე ყური და მასუკან შენს შთამომავლობითს სისტემას თითონვე შეუფარდებ იმ ორიოდ სიტყვას, რომელიც მე უნდა გითხრა.

— სთქვი რაღა, შესძახა შაკმა.

(გაგრძელება შემდეგ)

მად ილვრება და ვერცხლი ბევრი იხარჯება. დასაწყისში მთავრობას ეგონა, რომ ჩინეთი ერთის-ორის ქალაქის გადაწვის შემდეგ თითს მოჰკაკვავდა და იმ გადასახადს მისცემდა, რაც სამინისტროს უფროსმა, ჟულ ფერიმ მოსთხოვა. მათდა სამწუხაროდ ჩინეთი ამ ჟამად უფრო გულადი და მხნე გამოდგა და უწინდებულად ჯერ არ შეშინებულა. ამის მიზეზი ალბად ის არის, რომ მისი მხედრობა ეხლა უკეთესად არის მოწყობილი, უკეთესი იარაღი აქვთ და უკეთესი ოფიცრები ჰყავთ. თოფები, ზარბაზნები და ბევრი ოფიცრებიც სულ ბერმანიიდგან არიან.

ამ გარემოებებთან ერთად რომ მივიღოთ მხედველობაში ჩინეთის სიშორე და სიდიდე, უნდა ვიფიქროთ, რომ მასთან ბრძოლა საფრანგეთისთვის ადვილი არ იქნება. მაშ რამ აიძულა მთავრობა იმის გასამართავად? როგორც ვთქვით, იგი არის გამოწვეული ტონკინის გამო, რომელზედაც ჩინეთს იმ თავითვე უზენაესი უფლება ჰქონია. ფრანცუზებს ტონკინის დაპყრობის დროს უეჭველად წინ გადაელობებოდა ჩინეთი და უსისხლოდ არ დაანებებდა მათ. ეს უნდა სცოდნოდა კარგად საფრანგეთის მთავრობას და თუ არ დაერიდა ჩინეთის უფლების შერყევას, ეს მიტომ, რომ ალბად მისი შეშინება ადვილი ეგონა. მით უფრო, რომ საფრანგეთის ეხლანდელი მთავრობა ჩინეთს quantité négligeable-ს (არად ჩასაგდებს რაოდენობას) უწოდებს. ნამდვილად-კი კოჭი ალჩუს ვერ დაუჯდა საფრანგეთს და ეხლა ვხედავთ, რომ ის გაჭირებულს ძდგომარეობაშია.

როგორ უცქერის მთავრობას ის ერი, რომლის სისხლიც ილვრება და ვერცხლიც იხარჯება შორეულს ქვეყნებში. ეს ის ნაწილი, რომლის წარმომადგენელებიც არიან ეხლანდელის მთავრობის ბურჯნი, რასაკვირველია, მთავრობას ტაშს უკრავენ და აქებენ. ამას მოითხოვს მათი ვაჭრული ანგარიში. ხოლო მუშა ხალხი და მისი წარმომადგენლები კი ჰკიცხავენ და უწუნებენ მას ქცევას. ისინი იგონებენ იმპერიის დროს და ხედავენ სრულს მსგავსებას იმის შორეულს გალაშქრებებთან (expéditions). სრულიად უსარგებლოდ მიაჩნიათ შორეულის კოლონიების შეძენა იმოდენა ხარჯის გაწევით, რამდენიც შიგ საფრანგეთში რომ დახარჯულიყო, დიდს სარგებლობას მოუტანდა მუშა ხალხსა.

იმ დროს როდესაც შორეულს ქვეყნებში იმოდენა ფულები ინთქება, თვით საფრანგეთში რამდენიმე ათიათასობით ჰყრია უსაქმოდ მუშა ხალხი. პარიჟი ხომ ამ ჟამად სავსეა უსაქმო მუშებით. ესენი იკრიფებიან და სჯიან თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობის საშუალებებს. ეს კრებები დიდად ჰკიცხავენ ეხლანდელს მთავრობას და, ჩვეულებრივ, პოლიციასთან შეტაკებით გათავდება ხოლმე საქმე. ეს, რასაკვირველია, უფრო აღელვებს მუშა ხალხსა. ამას წინად მოხდა ერთი თითქო სასაცილო და ამასთან დასაფიქრებელი ამბავი. მუშებმა გამოაცხადეს, რომ ამა და ამ დროს იქნება მიტინგი ახალ-ოპერის მოედანზედო. დანიშნულს დროს ცნობის მოყვარე პირებმა, რომელნიც წავიდნენ მუშების მიტინგის სანახავად, მუშების მაგივრად, დაინახეს ჯარითა და მშვიდობიანობის დამცველებით სავსე მოედანი, რომელიც მთელი დღე მათ ეკავათ. დანიშნულს დროს მუშები არ მოსულიყვნენ, რადგან მათი უმთავრესი მეთაურები წინადღითვე იყვნენ დაპატიმრებულნი. აქედგან სჩანს, რომ მთავრობას ძალიან შეშინებია.

სწორედ ამავე მუშებს ჰქონდათ ამ დღეებში დიდი მიტინგი, სადაც მოისმინეს ინგლისელი მუშების განცხადება (manifeste) და ძესაფერი განაჩენი დაადგინეს. ლონდონში მუშებმა გამოსცეს ერთი განცხადება, რომელშიაც ჰკიცხავდენ თავიანთ მთავრობის ქცევას, უჩჩევდენ ომის მოსპობას, მშვიდობის ჩამოგდებას სუდანში და იქ დასახარჯად გადადებულის ფულების მოხმარებას მუშების სასარგებლოდ. იმათ გამოუგზავნეს მოციქულები პარიჟის მუშებს და სთხოვდენ, რომ იმათაც ასეთივე განაჩენი დაედგინათ თავიანთ მთავრობის შესახებ. მართლაცა და პარიჟის მუშებმა სრული თანაგრძნობა გამოუცხადეს ინგლისელთ და გადასწყვიტეს მოეთხოვათ მთავრობისათვის ჩინეთთან ომის მოსპობა და იმ ფულებით, რომელიც იქ დასახარჯად აქვთ გადადებული, საერო სამუშაოების დაწყება, რათა უსაქმო მუშებს საქმე გაჩენოდათ.

ასეა საფრანგეთის საქმე, რომ იქ, სადაც მთავრობა უნდა იყვეს ერის უმეტესობის სურვილის გამომხატველი და იმის სასარგებლოდ მომქმედი, დღეს სრულიად წინააღმდეგია ერისა. თუმცა დეპუტატთა პალატისათვის საყოველთაო არჩევანია (suffrage universel) შემოღებული, მაგრამ კველა არჩეულები ვერ არიან საყოველთაო სარგებლობის მომხრენი. აქედამ სჩანს, რომ საყოველთაო არჩევანი არ ყოფილა ერთად-ერთი წამალი ერის სიკეთისათვის. ბევრს მიზეზებსა ჰპოებენ, რომელნიც უშლიან ერის სიკეთეს, და ამ მიზეზების თავიდამ აცილებას ჰფიქრობენ აქაური მუშები და მათი მომხრენი.

პარიჟში მაინც, თუ მთელს საფრანგეთში არა, რა ნაირად თანაუგრძნობენ რევოლიუციის მოხდენას, ესე იგი ეხლანდელის რესპუბლიკის და წეს-წყობილების გადაგდებას და სხვა წესების დამყარებას, სჩანს შემდეგიდგან: ამ თვის 16-ს მარხავდენ გაზეთის Le cri du peuple-ის რედაქტორს ჟულ ვალესს. იგი იყო პარიჟის კომუნის ნაწევრალი და ერთი იმ ჟურნალისტთაგანი, რომელნიც დაუძინებელი მტრები არიან ეხლანდელის წეს წყობილებისა. იმისი წადილი იყო მუშა ხალხის წაქეზება რევოლიუციის მოსახდენად. საფრანგეთში საზოგადოდ მიცვალებულის დამარხვის დროს იციან პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთ მიმართულების გამოცხადება (manifestation) და ამ რევოლიუციის მომხრე კაცის დამარხვაზედაც აშკარა იყო, რომ მოხდებოდა გამოცხადება მის თანამოაზრეებისა და მიმდევრების მხრით. მართლაც და იმის სახლის კარებს ათი-ათასამდის მუშა-კაცი მიაწყდა და, ცხედარი დასძრეს თუ არა, ამოდენა ხალხის გროვამ ერთ-ხმად შესძახა: vive la commune! vive la révolution! ბზად ხალხი უფრო და უფრო ემატებოდა. ამას გარდა ქუჩების აქეთ-იქით ნაპირებზე დამწკრივებული იყო აუარებელი ხალხი, ასე რომ იმათ რიცხვს, რომელნიც კი ესწრაფებოდენ ვალესის კუბოს დანახვას, სთვლიან 200—300,000 კაცამდის. ბანსვენების დროს არ შეწყვეტილა ყვირილი: vive la commune! vive la révolution sociale!

ამ დღეს შესანიშნავი ის იყო, რომ ქუჩებზე, სადაც ცხედარი გაატარეს, პოლიციის მოხელეების ჭაჭანება არ იყო. თურმე ნაბძანები ჰქონდათ, — დამალულიყვნენ. სამაგიეროდ, ამბობენ, ბევრი საიდუმლო პოლიციელი იყოო და სასაფლაოს უკან რამდენიმე რიგი ჯარი იარაღის ქვეშ იდგა მზადაო. თვით შინაგან საქმეთა მინისტრიც კი, ვალდეკ-რუსო, როგორც იძახდენ გამოსულიყო ტანისამოს — გამოცვლილი ამ ამბის სათვალ-ყურებლად. ამ დღეს აშკარად დაინახეს, რომ საფრანგეთის ეხლანდელს რესპუბლიკას მტერი ჰყავს მუშებში და რომ ესენი მას ემუქრებიან საზოგადო რევოლიუციის მოხდენას (la révolution sociale).

სწორედ გუშინ-წინ იყო ერთის კაცის ძეგლის კურთხევა, რომლის მოთავეობითაც საფრანგეთში პირველად დამყარდა საყოველთაო არჩევანი. ეს არის ლედრუ-როლანი. ესეთი შემთხვევა, რასაკვირველია, ძალიან კაი საბაბი იყო მანიჭესტაციისათვის; ხალხიც ბევრი დაესწრო, თუმცა გაცილებით იმაზე ნაკლები რაც ვალესს მისდევდა, მუშა ხალხი ხომ სულ ნაკლებად იყო. ალბად მუშა ხალხს საყოველთაო არჩევანი აღარ აკმაყოფილებს.

თავათ უსაქმობით მუშა ხალხმა ლამის რევოლიუცია მოახდინოს და აქ მთავრობა კიდევ პურის გაძვირებას ფიქრობს. ის პური, რაც საფრანგეთში მოდის, ვერ აკმაყოფილებს მასა და ამიტომაც უხვად შემოაქვთ უცხო ქვეყნებიდგან. საფრანგეთის მამულის პატრონები ორს ნაწილად იყოფიან: ერთნი ისინი არიან, რომელთაც იმოდენი მოსდით, რამდენიც თითონ ყოფნით. ესენი შეადგენენ უმრავლესობას, ხოლო მცირე ნაწილს კი ისინი, რომელთაც დიდი მამულები აქვთ და გასაყიდი პური მოჰყავთ. ამ მცირე ნაწილისთვის სასარგებლოა, რასაკვირველია, რომ რაც შეიძლება ძვირად გაჰყიდოს პური, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ მას ეცილება უცხო ქვეყნების ხორბალი, რისგამოც შინაური ბევრჯელ გაუყიდელი რჩება. ეხლა მთავრობამ მოინდომა უცხო პურზედ ბაჟის დადება, რომ უცხო პურის გაძვირებით შინაურის გამყიდველებს მისცეს ძვირად გაყიდვის საშუალება. პალატაში ამ განზრახვას ბევრი გაუჭირვეულდა წინააღმდეგი აზრიც შეიტანეს და თხოულობდენ, რომ პურის მომყვანების შელავათის მისაცემად გაუშენებელს მამულებზე გადასახადი მოისპოს, ხოლო ამის სამაგიეროდ სპირტს მოემატოსო. თუმცა ამ წინააღმდეგ განზრახვას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ პურის მომყვანებსაც შელავათს მისცემდა და არც საზრდოს გააძვირებდა, მაგრამ მთავრობის განზრახვამ გაიმარჯვა და პალატამ გადასახადი დაამწესა. აშკარაა, რომ ამის გამო პური გაძვირდება და მაშინ ვნახავთ, რას იკმონენ მშიერი და უსაქმო მუშები.

ტელეგრამები

საკუთარის კორესპონდენტისაგან.

თებერვლის 27-ს

პეტერბურგი. დღეს თავადმა სამეგრელოისამ წერილობითი საბუთით შესწირა მთელი თავისი ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ქართველთა შორის“.

„ჩრდილოეთის საგენტოსი“.

თებერვლის 25-ს.

ბერლინი. რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის დაბადების ხვალინდელი დღის გამო გერმანიის იმპერატორს დღეს ჰქონდა გამართული დიდი სადილი, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ რუსეთის საელჩოს წევრნი და აფიცრები იმ პოლკებისა, რომელთა შეფად ითვლება რუსეთის იმპერატორი. სადილზე დაესწრო აგრეთვე ბისმარკიც.

ჰაირი. ჯენერალ გრაამი აქედან სეაკიმში წავიდა.

პარიჟი. ტუენკვანის ჩინელთაგან ალყის შემორტყმის დროთ განმავლობაში ფრანცუზ-მეცხოვნეთ (გარნიზონთ) მოუკლეს 52 და დაუჭრეს 33 კაცი. მეცხოვნეთა შველისათვის მიმავალს ჯარს მარტის 2 და 3-ს მოუკლეს 60 და დაუჭრეს 133 კაცი.

ირბითი. იარმუკის საქმეთა მსვლელობა კარგი იყო.

თებერვლის 26-ს.

პეტერბურგი. დღეს ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღის გამო კარის კაცები, ჯენერალიტეტი და პეტერბურგის გარნიზონის აფიცრები შეიკრიბნენ ისაკიევის საკრებულო ეკლესიაში (სობოროში), სადაც გადაიხადეს ლიტერგია და პარაკლისი. ამ დღეს მის უდიდებულესობას თავიანთს სასახლეში არავინ მიუღია. „რუ-

სის ინვალიდში" გამოცხადებულია ურიცხვი სამხედრო ჯილდოები, უპირატესად ღენერალ-ლეიტენანტობა ღენერალ-მაიორთათვის და პოდპოლკოვნიკობა კაპიტნებისათვის; აგრეთვე დაჯილდოვება წმ. ვლადიმერის 3 და 4 ხარისხისა და წმ. ანისა და სტანისლავის 2 და 3 ხარისხის ორდენებით.

მოსკოვი. გუშინ აქაურს სასამართლოს პალატაში ნაფიცთა მონაწილეობით დაიწყო გარჩევა საპოკოვის ქალაქის ბანკში მომხდარ ბოროტ-მოქმედებისა. ეს საქმე მიაგავს რიკოვისას. ბრალდებულებად არიან რვა კაცნი, მათ შორის ქალაქის თავი ნოვოდერკინი და ბანკის ბუხჰალტერი კრუქევსკი. მოწამენი ოცდაოთხნი არიან. ბრალდებულებმა არა სცნეს თავიანთი თავი დამნაშავედ. სასამართლოს განაჩენს ოთხშაბათს მოელიან.

კიევი. იარმუკა დაიხურა. მისი საქმე უფერულად მიდიოდა, 1871 წლიდან ასეთი სუსტი ჯერ არ ყოფილა. ვალებს რიგიანად ვერ იხდიდენ. ბევრი თამასუქები დაიცვალნენ ახალი ვადისათვის.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ მიიღო წინადადება ჯარებისათვის 3,000 კაცის მომატებისა. სამხედრო მინისტრმა გამოაცხადა, რომ მმართებლობა აუცილებელ საჭიროებად სთვლის ხართუმზე მისვლას და მახდის ხელმწიფების შემესრვას.

ბერნი. კანონ-მდებელ კრების სხდომათა გახსნის დროს თავსმჯდომარეებმა წარმოსთქვეს სიტყვები, რომლებშიაც იწონებდენ შვეიცარიის კავშირისაგან ანარქისტთა წინააღმდეგ მიღებულ ღონის-ძიებათა და ამბობდენ, რომ შვეიცარია წინანდებურად მისცემს თავ-შესაფარს მხოლოდ პოლიტიკურ საქმეთათვის გახიზნულებს და არა ბოროტ-მომქმედ—ანარქისტებს.

თებერვლის 26-ს.

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა ინსტრუქცია შესახებ თვალყურის დევნისა იმ წესდებათა ასრულებაზე, რომელნიც შეეხებიან მცირე წლოვან მუშებს ქარხნებში. ინსპექციას შეადგენენ: მთავარ ინსპექტორი, ცხრა ოლქის ინსპექტორები, რამდენიმე გუბერნიისათვის თითო, და ცხრანი მათნი თანაშემწენი; ერთი ამათგანი მთავარ ინსპექტორის განკარგულების ქვეშ იქნება. ადგილობრივ უფროსებთან ინსპექტორებს ისეთივე დამოკიდებულება ექნებათ, როგორც საზოგადოდ ფინანსთა სამინისტროს მოხელეებს. მთავარ ინსპექტორმა რაც შეიძლება ხშირად უნდა დათვალიერონს ოლქები; ოლქის ინსპექტორი და მისი თანაშემწე გაიყოფენ ოლქს თანასწორად: ქარხნების საუკეთესო დასათვალიერებლად დღეც და ღამეც, თუ საჭიროება მოითხოვს, მიმართავენ პოლიციას; რასაც დათვალიერება აღმოაჩენს, ჩაწერილი უნდა იქმნეს იმ წიგნებში, რომელნიც უნდა იქონიონ ქარხნის პატრონებმა. სამსჯავროში დამნაშავის გამტყუნება მინიჭებული ექმნება ადგილობრივს პოლიციას. ინსპექტორმა თავის ანგარიშში უნდა წარმოადგინოს ცნობები იმ ქარხნების პატრონებზე, რომელთაც კარგად ექნებათ გამართული ქარხნები და კარგად ეპურობიანმუშა ხალხს, აგრეთვე უნდა თვალყური ადევნოს სწავლის საქმეს. ქარხნის სკოლები ხალხთა განათლების სამინისტროს გამგეობაში უნდა იყვნენ. გამოცხადებულ იქმნენ აგრეთვე წესდებანი, რომლების ძალით ქარხნის პატრონები უნდა ასრულებდენ მცირე წლოვან მუშების: შეშახებს განკარგულებას 12 წელზე ნაკლები ვინც არის, სრულებით არ უნდა ამუშავონ ქარხანაში; 12 წლიდან 15 მდინ შეეძლიანთ ამუშავონ მხოლოდ რვა საათი დღეში; ვინც 15 წელზე ნაკლებია, ღამე არ ემუშავებათ და დროებით კი ნება ეძლევათ 1886 წლის მაისის 1 მდინ ღამე ამუშავონ 4 საათი, ისიც, თუ მეორე დღეს 4 საათზე მეტს არ იმუშავებენ.

ბერლინი. იმპერიის ბანკმა თამასუქთა დისკონტი ასწია 5 % მდის, ლომბარდისამ კი 6-დე.

გუშინდელს სადილზე იმპერატორმა ვილჰელმმა მიირთვა რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო. დღეს რუსის საელჩოს ეკლესიაში გადიხადეს პარაკლისი, რომელზედაც დაესწრნენ რუსის საელჩო, ბევრნი ქვეშევრდომნი რუსეთისა და ათიცრები იმპერატორის ალექსანდრეს პოლკისა.

ვენა. ავსტრიისა და ვენგრიის პარლამენტებში შეტანილია კანონ-პროექტები სადამოონო გადასახადთა წესში ცვლილების მოხდენის შესახებ. ამ ცვლილების აზრი არის, რომ მეფარველობა გაუწიოს მეერნეების წარმოებას.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ დაამტკიცა დამატებითი კრედიტი სუდანის ექსპედიციისა და სუაქიმიდან ბერბერში რკინის გზის გაკეთებისათვის.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამლამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კოროლნა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

გაგინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოძშისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაუწყებელი

ხორაგისა, რომელიც — ბაზრებში, თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა	—1	გირ.	5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა	—1	ბ.	$2^1/_2$
მეორისა	—1	ბ.	2 კ.
იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:			
პირველი ხარისხის	—1	ბ.	$4^1/_2$
მეორისა	—1	ბ.	3 კ.
მესამისა	—1	ბ.	$2^1/_2$
ჯვარის-მამი პური:			
პირველი ხარის. ლავაში	1	ბ.	$4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში	1	ბ.	$3^1/_2$
მესამისა	—1	ბ.	3 კ.
ძროხის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—1	ბ.	8 კ.
მეორისა	—1	ბ.	7 კ.
სუკი . . .	—1	ბ.	15 კ.
ცხვრის ხორცი	—1	ბ.	8 კ.
ღორის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—1	ბ.	8 კ.
მეორისა	—1	ბ.	7 კ.

ვანცხადებანი

ქუთაისის ქალაქის გამგეობაში მომავალის მარტის თვის 5-ს დანიშნული არის ვაჭრობა (უპერეტორკოთ) გაცემისათვის იჯარით, ორის წლის ვადით **ქალაქის განათებისა.** ვაჭრობა დაიწყება ათს საათზედ და გათავდება ორ საათზე. პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ გამგეობაში ყოველ დღეს, გარდა უქმიდღეებისა. (3—2)

დილის 10 საათიდამ
დღეს, თებერვლის 28-ს.

თბილისის საუქციონო კამერა ამით აცხადებს, რომ **არწრუნისეულ** გალერეიაში **გაიყიდება** საკალატერეიანო და მანუფაქტურული ნივთები და მატერიები ქალების ტანისამოსისათვის; აგრეთვე წერისათვის საჭირო ნივთეულობა. (2—2)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომეკანი

ამაგრებს თმას და ადგინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—94)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის ზეთადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სხოტკები თავის ტკივილის ასასვლობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

САМЫЙ ПОЛНЫЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

РАДУГА ДАЕТЪ СВОИМЪ ЧИТАТЕЛЯМЪ **66** БЕЗПЛАТНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ ВЪ ГОДЪ И ОДНУ ПРЕМІЮ.

Иллюстрированный семейный журналъ, III годъ изданія.—Въ годъ 50 №№ | Подписная цѣна: въ годъ съ доставкою и пересылкою **5 р.**

Допускается разсрочка: при подпискѣ 2 руб., затѣмъ 3 мѣсяца подрядъ по 1 р.

Адресъ редакціи: Москва, Столешниковъ пер., д. Корзинкина.

Ц. 10-209 (5—4).

ПОДПИСКА

На политическую и литературную газету

ВОСТОКЪ

НА 1885 Г.

Газета ВОСТОКЪ служитъ органомъ православныхъ восточныхъ народовъ, выходитъ до двухъ разъ въ недѣлю.

Подписная цѣна: съ доставкою и пересылкою за годъ 8 руб. за $^1/_2$ года 4 руб. 50 коп. За границу за годъ 10 руб. за $^1/_2$ года 5 руб.

Подписка принимается: ВЪ МОСКВѢ, въ редакціи, у малаго камен. моста, Д. Полякова.

(10—2)

Дозв. ценз. Тифлисъ, 27 Февраля 1885 г. სტამბა აკ. ალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.